კლასის გრამატიკული კატეგორიის რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დაღესტნურ ენებში[1]

ავტორი ნოდარ არდოტელი
არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ელფოსტა: nodariardoteli@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია ნახურ და დაღესტნურ ენათა უნივერსალური გრამატიკული კლასის კატეგორია აღწერითი და შედარებითი თვალსაზრისით. თავდაპირველად განხილულია საკვლევ ენებში პოვნიერი კლასოვანი სისტემები, რომლებსაც ერთვის კლასიფიკატორების სინოპტიკური ცხრილი. მეორე ნაწილი ეძღვნება კლასოვანი სისტემების პოსტულირების ძველ და მეტად აქტუალურ პრობლემას. დახასიათებულია კლასიფიკატორების ფუნქციონირების ტრანსფორმაციული პროცესები და სემანტიკური ცვლილებანი. ნაჩვენებია, რომ ნახურ-დაღესტნურ ენათა კლასების სისტემა მოყოლებული მათი ფუძეენიდან დღევანდლამდე განვითარების ძირითად ტენდენციას – კლასთა თანდათანობითი შემცირებისა და ელიმინაციის კარდინალურ ხაზს მისდევს. ნაშრომში წარმოდგენილია კლასის გრამატიკული კატეგორიის არქაული სახის რეკონსტრუქციის ცდა.

საკვანძო სიტყვები: კლასის გრამატიკული კატეგორია, პოსტულირება, კლასიფიკატორი

შესავალი

კლასის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია ნახურ-დაღესტნურ ენათა ხერხემალს წარმოადგენს, გამსჭვალავს საკვლევ ენათა მთელ მორფოლოგიას და გამოიყენება სუბსტანტივთა საკლასიფიკაციოდ. ეს ძველისძველი კატეგორია სინქრონიულ დონეზე ფლექსიური ტიპის ენათათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსაც ავლენს, ვინაიდან კლასიფიკატორები, საკუთრივ სახელთა კლასიფიკაციის გარდა, რიცხვისა და ბრუნვის, აგრეთვე, ზოგჯერ სხვა გრამატიკულ კატეგორიის საწარმოებელ აფიქსებადაც გამოიყენება. ივარაუდება, რომ თავდაპირველად კლასის კატეგორია ყველა სახის არსებით სახელთა სოციალური ღირებულების მიხედვით საკლასიფიკაციოდ გამოიყნებოდა და ოდენ კლასის გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავდა. მოგვიანებით კლასიფიკატორების ფუნქციონირების არეალი თანდათანობით გაფართოვდა და მათ სხვა კატეგორიების გამოხატვის ფუნქციაც დაეკისრა. შიფნერისა და პ. უსლარის ნაშრომებიდან დაწყებული და გ. თოფურიას საინტერესო ნაშრომით დამთავრებული კლასის გრამატიკული კატეგორია მრავალ ლინგვისტ-კავკასიოლოგს უქცევია განხილვის საგნად, თუმცა მისი ზოგი მხარე მაინც მოითხოვს დაზუსტებას.

ძირითადი ნაწილი

ლეზგიურის, აღულურისა და უდიურის გარდა, კლასიფიკატორები დასტურდება ყველა საკვლევ ენაში, მაგრამ ყველა კლასკატეგორიან ენაში კლასთა ერთნაირი გრამატიკული სისტემები არ მოგვეპოვება - ნახური ენები ოთხკლასიან სისტემას გვიჩვენებს, თაბასარანულისთვის კი ნიშანდობლივია მოშლის პირას მისული კლასთა ბინარული ოპოზიცია. მხოლოობითი რიცხვის მიხედვით, ნახურ და დაღესტნურ ენებში ამჟამად ორ-, სამ- და ოთხკლასიანი რეგრესული სისტემები დასტურდება. კერძოდ, რაოდენობრივად

კლასები ასე ნაწილდება: ა) ნახურ ენებში, ლეზგიურ ენათა უმრავლესობაში (რუთულური, წახური, არჩიბული, კრიწული, ბუდუხური, ხინალუღური), ორ ანდიურ ენასა (ანდიური, ჭამალური) და დიდოურ ენათა წყებაში ფუნქციონირებენ ოთხკლასიანი ნეიტრალური სისტემები; ბ) რეგრესულ (resp. უნიფიცირებულ) სამკლასიან სისტემაში ბინარული ოპოზიციის ადამიანის კლასი დიფერენცირებულია ზრდასრული მამაკაცისა (I – **ᲩᲐ**) და ქალის (II – **ᲘᲐ**) კლასებად, ხოლო ყველა დანარჩენი თავს იყრის ნივთის (III – **Ბ**) კლასში. სამკლასიანი სისტემები დასტურდება დარგუულ ენაში, ხუნძურსა და ანდიურ ენათა (ბოთლიხური, ღოდობერიული, ტინდიური, ბაგვალური, კარატაული, ახვახური) მეტ ნაწილში; გ) ბინარული ოპოზიცია ნიშანდობლივია ოდენ თაბასარანული ენის ჩრდილოური დიალექტისთვის, რომლის დროსაც ადამიანის კლასი („ვინ?“) უპირისპირდება ნივთის კლასს („რა?“): I კლ. {**დ-**}, II კლ. {**Ბ-**}. შესაძლოა, ცალკეულ დიალექტებსა და თქმებში კლასთა რაოდენობისა თუ ფორმანტების მხრივ განსხვავებულ ვითარებასაც წავაწყდეთ, მაგრამ კლასის ძირითადი სისტემები სინქრონიულ დონეზე ასეა წარმოდგენილი. მართალია, სპეციალისტები საკვლევ ენათა მორფოლოგიაში არაიშვიათად უფრო მეტ კლასებსაც გამოყოფენ, მაგრამ ეს მცდარი კრიტერიუმით – მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის შეპირისპირებით – არის მიღებული [ბოკარევი 1959: 29; დეშერიევი 1963: 372; შდრ. ჩიქობავა 1979: 92-96; ანდღულაძე 1968: 24; თოფურია 2003: 17-18...].

ნახურ-დაღესტნური ენების გრამატიკულ კლასთა სისტემების სინოპტიკური ცხრილი ასე წარმოგვიდგება:

ენები	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
ჩეჩნური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**დ**
ინგუშური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**დ**
ბაცბური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**დ**
ხუნძური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ***
ანდიური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ**
ბოთლიხური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ***
ღოდობერიული	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ (მ)**	**რ***
ჭამალური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ (მ)**	**ᲘᲐ-/-ლ**
ტინდიური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ***
ბაგვალური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ***
კარატაული	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ***
ახვახური	**ᲩᲐ**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ***
დიდოური	**Ø (< *ᲩᲐ)**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ**
ჰინუხური	**Ø (< *ᲩᲐ)**	**ᲘᲐ**	**Ბ**	**რ**
ხვარშიული	**Ø (< *ᲩᲐ)**	**ᲘᲐ**	**Ბ (მ)**	**ლ (რ, ნ)**
ბეჟიტური	**Ø (< *ᲩᲐ)**	**ᲘᲐ**	**Ბ (მ, ნ)**	**რ (ᲘᲐ, ნ)**
ლაკური	**Ø, ᲩᲐ, ᲘᲐ**	**დ, რ, ᲘᲐ, ლ, ნ**	**Ბ, მ, ᲩᲐ, ფ**	**დ, რ, ᲘᲐ, ლ, ნ**
დარგუული	**ᲩᲐ**	**დ, რ, ᲘᲐ**	**Ბ**	***დ**
თაბასარანული	**დ, რ, ᲘᲐ**		**Ბ, ᲩᲐ, f**	
წახურული	**ᲩᲐ, რ, ᲘᲐ, Ø...**	**რ, ᲘᲐ, Ø...**	**Ბ, ᲩᲐ...**	**დ, თ, ტ, ᲘᲐ...**
რუთულური	**ᲩᲐ, რ, ᲘᲐ, Ø...**	**რ, ᲘᲐ, Ø...**	**Ბ, ᲩᲐ, დ, ᲘᲐ...**	**დ, თ, ლ, ᲘᲐ...**
არჩიბული	**ᲩᲐ, ᲘᲐ**	**დ, რ**	**Ბ, მ...**	**Ø, რ, ᲘᲐ (თ, ტ)**
კრიწული	**რ, ᲘᲐ, ლ, Ø...**	**ᲩᲐ, რ, Ø...**	**Ბ, ფ, რ...**	**დ, თ, ტ...**
ბუდუხური	**ᲩᲐ, Ø, რ**	**რ, ლ**	**Ბ, ფ...**	**დ, თ, ტ...**
ხინალუღური	**რ, ლ, ᲘᲐ...**	**დ, რ, ᲘᲐ...**	**Ბ, ფ...**	**დ, ᲘᲐ, Ბ...**

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, იბერიულ-კავკასიურ ენებში კლას-კატეგორია

ევოლუციის საწყის ეტაპზე სათანადო კლასიფიკატორებით (I – **ვ**, II – **დ**) ბინარულ ოპოზიციას ქმნიდა. ანალოგიური ორკლასიანი სისტემა არცერთ საკვლევ ენაში არ დასტურდება ისევე, როგორც პროგრესული სამკლასიანი (I – **ვ**, II – **ბ**, III – **დ**) სისტემა. რაც შეეხება ოთხკლასიან სისტემას, იგი სამკლასიანი სისტემის დიფერენციაციით არის მიღებული:

I კლ. – **ვ** (მამრობითი სქესის პიროვნება)
II კლ. – **ჲ** (მდედრობითი სქესის პიროვნება)
III კლ. – **ბ** (ნივთი)
IV კლ. – **დ** (ნივთი) [ჩიქობავა 1978: 23; ანდღულაძე 1968: 46...][2].

კლასოვანი სისტემის გენეზისის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ივ. ჯავახიშვილის დასკვნა, რომელიც II კლასის წარმომავლობას უკავშირდება: „მაგვარად ირკვევა, რომ **ღილღური და ლეგური ენების მდედრ. სქესის ერთად-ერთ ნიშნად ჲ ნახევარხმოვანი რჩება, დანარჩენი ბ, დ და რ თანხმოვნები -კი შემდეგში უნდა იყოს ამ სქესის ნიშნად ქცეული**“ [ჯავახიშვილი 1992: 255; შდრ. ანდღულაძე 1968: 38-39].

ყურადსაღებია ისიც, რომ ჟ. დიუმეზილი და ნ. ტრუბეცკოი ნახურ-დაღესტნური (resp. აღმოსავლურკავკასიური) ენებისთვის ოთხკლასიან სისტემას აღადგენენ:

მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.
I კლ. ***ᲩᲔ**	***ბ**	I კლ. ***ᲩᲔ**
II კლ. ***ჲ**		II კლ. ***ჲ**
III კლ. ***ბ**	***რ**	III კლ. ***ბ**
IV კლ. ***რ**		IV კლ. ***დ**
[დიუმეზილი 2015: 45]		[ტრუბეცკოი 1987: 340]

ბოლო ხანებში გ. თოფურიამ, არნ. ჩიქობავას ანალოგიურად, კლასთა ბინარული ოპოზიციის მართებულობა გაიზიარა, მაგრამ I კლასისთვის აღადგინა {**დ-**} ნიშანი, ხოლო II კლასისთვის კი – {**ბ**-}. მისი თვალსაზრისით, კლას-კატეგორიის ევილუციის მეორე საფეხურზე მამაკაცის კლასის დიფერენციაციის შედეგად მივიღეთ სამკლასიანი სისტემა: I – **ვ**, II – **ჲ**, III – **ბ.** ადამიანის კლასის გამოხატვისაგან თავისუფალი ნიშანი {**დ-**} გადავიდა არაადამიანის (ნივთის) კლასში და რეინტერპრეტაციის შედეგად IV კლასის ექსპონენტადაც იქცა, რამაც შეაპირობა ნივთის კლასის სახელთა დამატებითი დიფერენციაცია. გ. თოფურიას კონცეფცია სიახლეს წარმოადგენს იმ ასპექტით, რომ II და IV კლასების გენეზისურ კავშირს უგულებელყოფს, რაც გარკვეული თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილის ზემომოყვანილ მოსაზრებას ეხმიანება [ჯავახიშვილი 1992: 255]. IV კლასის ბიფურკაციით (**დ**>**რ**>**ჲ**) II კლასის (ქალთა კლასის) წარმომავლობის არნ. ჩიქობავასეული დებულება ეჭვქვეშ არის დაყენებული, რაც არსებითად მართებული ჩანს. ლაკურ და ლეზგიურ ენათა მონაცემების შესახებ გ. თოფურია სავსებით სამართლიანად წერს: "Наличие d, r, l, n в II классе (класс женщины) в лезгинских (а также лакском и даргинском) языках, как уже говорилось, следует рассматривать как результат реинтерпретации расшатанных первичных систем, и также нужно квалифицировать как системы поздней формации" [თოფურია 2003: 22]. მის მიერ აღდგენილი ოთხკლასიანი სისტემის სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

მხ. რ.
I კლ. *ᲩᲔ
II კლ. ***ჲ**
III კლ. ***ბ**
IV კლ. ***დ**

ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც კლასთა ამოსავალ სისტემაში გარჩეული უნდა ყოფილიყო ბინარული ოპოზიცია, რომელშიც სახელთა სიმრავლე

დიფერენცირებული იყო ღვთაებათა (**ზოგადად ადამიანის** I კლ. - **უ**) და **ნივთთა** (I კლ. - **ბ**) სემანტიკურ კლასებად. რაც შეეხება პროგრესულ სამკლასიან სისტემას, იგი იმეორებდა ზემომოყვანილ ბინარულ ოპოზიციას იმ განსხვავებით, რომ I კლასს (**ღვთაებანი, ასაკსრული მამაკაცები** და **მათთან გათანაბრებული არსებანი**) სათანადო {**ჲ**-} ექსპონენტით ცალკე გამოეყო II კლასი (**ასაკსრული ქალები** და **მათთან გათანაბრებული არსებანი**), რის შედეგადაც წარმოიქმნა სამკლასიანი სისტემა [შდრ. ჩიქობავა 1942: 41; თოფურია 2003: 22]. ამგვარი სამკლასიანი სისტემა რეკონსტრუირდება ჩრდილოკავკასიურ ფუძეენის დონეზე, რაც ასე წარმოიდგინება: I კლ. *ᲣᲬ, II კლ. *ᲣᲩ, III კლ. *ᲑᲬ[3].

ნეიტრალური ოთხკლასიანი სისტემა, ნივთთა III კლასის „მექანიკური განვითარებით“ (ჟ. დიუმეზილი) გამოეყო IV კლასი სათანადო {**დ-/რ-**} ალომორფებით, რომლებსაც სპონტანურ ფონეტიკურ ბგერათცვლილებათა შედეგად სხვადასხვა რეფლექსები ჩამოუყალიბდა: {**ᲩᲬ**-}, {**ᲚᲬ**-}, {**ᲛᲬ-**}, {**ᲜᲬ**-}. საფიქრებელია, რომ IV კლასის ჩამოყალიბების დროს ნახურ ფუძეენაში ფუნქციონირებდა ოდენ {**დ-**}, ვინაიდან {**რ-**} ალომორფის რეკონსტრუქცია ფუძენახურში ვერ ხერხდება [დეშერიევი 1963: 385]. არსებული ენობრივი მონაცემები ცხადყოფენ, რომ დაღესტნურ ფუძეენაში უნდა გვქონოდა არა ქრონოლოგიურად მონაცვლე კლას-ნიშნები, არამედ თავისუფლად მონაცვლე (resp. დიალექტური წარმომავლობის) კლასის ექსპონენტები {**დ-/რ-**}[4]. ამის გათვალისწინებით, IV კლასის ნიშნად {**დ-/რ-**} ალომორფები რეკონსტრუირდება საერთო-დაღესტნური ქრონოლოგიური დონისთვის, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის აღდგება **რ-**. როგორც ჩანს, იმ ენობრივ ერთეულში, რომელიც საფუძვლად დაედო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენას, IV კლასის ნიშნად {**რ-**} იყო გაბატონებული. მაშასადამე, ოთხკლასიან სისტემაში მეოთხე კლასის ექსპონენტები საერთო-ნახურსა და საერთო-დაღესტნურში განსხვავებული უნდა ყოფილიყო, რაც სქემატურად ასე წარმოგვიდგება:

ა) საერთო-ნახური	ბ) საერთო-დაღესტნური
I კლ. *ᲣᲬ	I კლ. *ᲣᲬ
II კლ. *ᲩᲬ	II კლ. *ᲩᲬ
III კლ. *ᲑᲬ	III კლ. *ᲑᲬ
IV კლ. ***დ**	IV კლ. ***დ**/***რ**

საყურადღებოა, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთობის ხანის მიწურულისათვის IVკლასის ნიშნად {**დ**}-ს რეკონსტრუქცია არარეალური ჩანს. ავტორების აზრით, საყოველთაოდ გაზიარებული **დ**>**რ** [ანდღულაძე 1968: 45; თოფურია 2003: 20...] შეიძლება მომხდარიყო იმ ენობრივ ერთეულში, რომელიც საფუძვლად დაედო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენას, რაც გარკვეულ დაბრკოლებას ხვდება. {**დ**}-ს აღსადგენად ამ ენათა სახელების ბრუნებაში რელიქტური კვალი, მართალია, შეინიშნება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 92-96; გუდავა 1959: 9, 18-19...], თუმცა **რ** (<*<**დ**)[5] პროცესს ხელს უშლის, ერთი მხრივ, **რ** და **დ** ფონემათა ბგერათშესატყვისობის არათანამიმდევრულობა [გიგინეიშვილი 1976: 67, 76], მეორე მხრივ კი, ლაკურ ენასა და ზოგ ლეზგიურ ენაში მათი ალომორფული სახით ფუნქციონირება. ამასთან, ნახურ ენებში {**დ-**} კლასის ექსპონენტისთვის, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენათა სინამდვილეში {**რ-**} პრეფიქსული კლას-ნიშნისთვის არ ხერხდება დამატებითი ნიშნის რეკონსტრუქცია. გასათვალისწინებელია, რომ **დ**>**რ** პროცესის რეალიზაციის შემთხვევაში {**დ-**}, რომელიც საკვლევ ენებში ძირითადად ფონემათიგივეობით არის წარმოდგენილი, არაიდენტურ ფონემათშესატყვისობას მოგვცემდა[6] [არდოტელი 2009: 89, 140]. ირკვევა, რომ {**რ-**} კლას-ნიშნისა და საერთო-დაღესტნური *<**დ**-ს ურთიერთმიმართება გამიჯნულია - პირველი პარადიგმის ფარგლებში მინიმალურად იცვლება (ხვარშ. {**რ-**}>{**ᲚᲬ**-}), ხოლო **დ** ფონემათიგივეობით არის წარმოდგენილი [გუდავა 1979: 58, 67]. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში აღდგება შემდეგი ოთხკლასიანი სისტემა:

I კლ. *უ̂
II კლ. *ᲂ
III კლ. *ბ
IV კლ. *რ

დასკვნა

ამრიგად, ნახურ-დაღესტნურ ენათა კლასების სისტემა მოყოლებული მათი ფუძეენიდან დღევანდლამდე განვითარების ძირითად ტენდენციას – კლასთა თანდათანობითი შემცირებისა და ელიმინაციის კარდინალურ ხაზს მისდევს. ამ მხრივ ნახური ენები მეტ კონსერვატიზმს ამჟღავნებენ, ვინაიდან ამოსავალი საერთონახური ოთხკლასიანი სისტემა არსებითად დაცულია. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები, თუ IV კლასის ექსპონენტის გარდაქმნებს (*<u>**რ>ლ, ᲂ**</u>...) არ მივიღებთ მხედველობაში, მეტ-ნაკლები მდგრადობით გამოირჩევიან, ხოლო ლაკურ-დარგუულ და მეტადრე ლეზგიურ ენათა სინამდვილეში კლასის გრამატიკული კატეგორია მოშლისა და თანამიმდევრული გაქრობის გზას ადგას.

---

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

[2] ნ. ანდღულაძე დაღესტნური ენებისთვის ამოსავალ ოთხკლასიან სისტემაში II კლასის ნიშნად **დ**-ს აღადგენს [ანდღულაძე 1968: 38].

[3] ნ. ანდღულაძის მოსაზრება, რომ „<u>**ნივთთა გრამატიკული კლასის ექსპონენტის არქეტიპად დ- ფორმანტი უნდა ვცნოთ**</u>“, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება [ანდღულაძე 1968: 45]. საკითხის ასე გადაჭრას ხელს უშლის, ერთი მხრივ, III **ბ** კლას-ნიშნის მყარი და უცვლელი პოზიცია, მეორე მხრივ, ამ კლასში გაერთიანებულ სახელთა მეტი ღირებულება სოციალური თვალსაზრისით.

[4] რიგი გარემოება გვიკარნახებს, რომ {**დ-/რ-**} ალომორფებად მივიჩნიოთ: ა) კლას-ნიშანთა იდენტური ფუნქციური დისტრიბუცია ლაკურში; ბ) ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში {**დ-**} ნიშნის უქონლობა; გ) არაადეკვატური ბგერათშესატყვისობა და ა. შ.

[5] ვ. თოფურიას **რ** მიაჩნია არქეტიპად: *<u>**რ>დ**</u> [თოფურია 1942: 178-179; შდრ. ჯავახიშვილი 1992: 256; ანდღულაძე 1968: 43...].

[6] თუ, რა თქმა უნდა, არ გავიზიარებთ „<u>**დიუმეზილის ფენომენს**</u>“, რაც გრამატიკულ ინვენტარში შესატყვისობათა განსხვავებულ კანონზომიერებებს გულისხმობს [დიუმეზილი 2015: 38-39].

ლიტერატურა

ანდღულაძე 1968: ნოდარ ანდღულაძე. კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში. თბილისი: „მეცნიერება“, 1968.

არდოტელი 2009: ნოდარ არდოტელი. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

ბოკარევი 1959: Евгений Алексеевич Бокарев. Цезские (дидойские) языки Дагестана. Москва: Издательство АН СССР, 1959.

გიგინეიშვილი 1977: Гигинейшвили Бакар Конаевич. Сравнительная фонетика дагестанских языков.Тбилиси: Издательство ТГУ, 1977.

გუდავა 1959: Гудава Того Евстафьевич. Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках. Махачкала: 1959.

გუდავა 1979: Гудава Того Евстафьевич. Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков. Тбилиси: Издательство «Мецниереба», 1979.

დეშერიევი 1963: Дешериев Юунус Дешериевич. Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов. Грозный: Издательство АН СССР, 1963.

დიუმეზილი 2015: ჟორჟ დიუმეზილი. შესავალი ჩრდილოკავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში. თბილისი: „საარი“, 2015.

თოფურია 1942: ვარლამ თოფურია. გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში//ენიმკი-ს მოამბე,XII. თბილისი, 1942, გვ. 169-182.

თოფურია 2003: Топурия Гурам Варламович. К истории грамматических классов в восточнокавказских языках//ЕИКЯ, XXII. Тбилиси, 2003, С. 16-26.

ტრუბეცკოი 1987: Трубецкой Николай Сергеевич. Избранные труды по филологии. Москва: «Прогресс, 1987.

ჩიქობავა 1942: არნოლდ ჩიქობავა. მეორე გრამატიკული კლასის („მდედრობითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში//სმამ, ტ. III, №4. თბილისი, 1942, გვ. 373-380.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: არნოლდ ჩიქობავა, ილია ცერცვაძე. ხუნძური ენა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1962.

ჩიქობავა 1979: Чикобава Арнольд Степанович. Грамматические классы имен в иберийско-кавказских языках: общие вопросы системы и истории//ЕИКЯ, V. Тбилиси, 1978. С. 9-27.

ჩიქობავა 1979: არნოლდ ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1979.

ჯავახიშვილი 1992: ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X. ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992.